

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 20 მაისის N 21/4773 წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 29.14.32.476) შპს „გრაველი“-ს ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სკრინინგის ანგარიშს. შპს „გრაველის“ დაგეგმილი აქვს ბეტონის საწარმოში განახორციელოს ცვლილებები და დამატებით მოაწყოს ქვიშა - ხრეშის სამსხვრევი საწარმო. შპს „გრაველი“-ს ბეტონის საწარმოსთვის შემუშავებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2024 წლის 29 თებერვალს (სამინისტროს წერილი N21/11057. 29/10/2024 წელი). საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „გრაველ“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვიშა-ხრეშის მსხვრევას). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში.

დანართი: სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად, დოკუმენტის ელექტრონული ვერსია, sph ფაილებთან ერთად

პატივისცემით,

შპს „გრაველი“-ს

დირექტორი: თამაზი მიქაძე

31.07.2025 წელი



შპს „გრაველი“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გეგუთი

ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა

სკრინინგის ანგარიში

ქ. ქუთაისი 2025 წელი

შინაარსი

შესავალი ----- გვ. 3

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ----- გვ.4
2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა ----- გვ.5
3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები ----- გვ.6
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება ----- გვ.7-9
5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება ----- გვ.7-9
6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ----- გვ.9-10
7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ----- გვ.9-10
8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები ----- გვ.10
9. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში ----- გვ.11-14
10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება ----- გვ.15
11. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება ----- გვ.15
12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი ----- გვ.16
13. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ----- გვ.16
14. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება ----- გვ.17
15. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები ----- გვ.17
16. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ----- გვ.17
17. კუმულაციური ზემოქმედება ----- გვ.17-18
18. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ----- გვ.18
19. დანართი

შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში კომპანია შპს „გრაველი“-ის (ს/კ421282953) ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტს.

შპს „გრაველის“ დაგეგმილი აქვს ბეტონის საწარმოში განახორციელოს ცვლილებები და დამატებით მოაწყოს ქვიშა - ხრეშის სამსხვრევი საწარმო.

შპს „გრაველი“-ს ბეტონის საწარმოსთვის შემუშავებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2024 წლის 29 თებერვალს (სამინისტროს წერილი N21/11057. 29/10/2024 წელი).

შპს „გრაველი“-ის (ს/კ421282953) ბეტონის საწარმოს საპროექტო ტერიტორია მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 29.14.32.476) ფართობი შეადგენს 5319,00 კვ.მ და საიჯარო ხელშეკრულებით აღებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. (საკ კოდი: 29.14.32.570) ფართობი შეადგენს 8242 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება თავისუფალი მიწის ნაკვეთები. უახლოესი საცხოვრებელი სახლი განთავსებულია სამხრეთ-დასავლეთ მხარეს 550მ მანძილზე მოშორებით (საკ. კოდი: 29.14.34.617). აღმოსავლეთით - 650 მ დაშორებით ბეტონის საწარმო შპს „ქრამერი ჯორჯია“, შპს „გრაველი“-ს ბეტონის საწარმოს საპროექტო ტერიტორიის ზედაპირი მომანდაკებულია და წარმოადგენს ე.წ. ტექნოგენურ გრუნტს. ტერიტორიაზე დაგეგმილია განთავსდეს ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი წარმოებისავის საჭირო აგრეგატები და ნედლეულის ღია საწყობი. (საწარმოს გენ-გეგმა მოცემულია ნახაზზე 1.). საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „გრაველი“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვიშა-ხრეშის მსხვრევას). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში.


1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ

შპს „გარველი“-ს ბეტონის საწარმოში მიმდინარეობს სხვადასხვა მარკის ბეტონის დამზადება. საწარმოში მუშაობს 20 ტ/სთ წარმადობის ბეტონსარევი დანადგარი, ბეტონის კვანძი მუშაობს ერთ ცვლაში. წელიწადში წარმოებული ბეტონის ნარევის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 40 000 კუბ.მ /წელ. 1 კუბ. მ ბეტონის დამზადებას დასჭირდება ქვიშა-850 კგ, ღორღი 950 კგ, ცემენტი 330 კგ, წყალი 150 ლ. ბეტონის კვანძის 100 ტ-იანი ცემენტის სილოსი 1 ცალი, რომელიც აღჭურვილია ფილტრით, ლენტური კონვეიერი.

ბეტონის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული წვრილმარცვლოვანი ქვიშა და ღორღი დამტვირთველის საშუალებით მიეწოდება მიმდებ ბუნკერში, აქედან დახურული ლენტური კონვეიერით მიეწოდება ორგანოფილებიან მადონიზირებელ ბუნკერს, საიდანაც ჩაიყრება დახურულ ბეტონშელში. ცემენტის მარაგი მოთავსდება სპეციალურ ცემენტსაცავ - 100 ტ ტევადობის ერთ ცემენტის სილოსში. ცემენტის ჩატვირთვა სილოსებში მოხდება ცემენტში დმაქანებზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით. სილოსებიდან ცემენტი სპეციალური შნეკებით, რომელიც განთავსებულია სილოსების კონუსური ნაწილის გაგრძელებაზე გადადის დოზატორში, სადაც იწონება და იყრება ბეტონშემრევი. სილოსებზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრები 99 % იანი მტვერდამკერით. ბეტონშემრევი დახურულია, ემატება დოზირებული წყლის რაოდენობა და ბრუნავს. მზა ნარევი წარმოადგენს ბეტონს. დამთავრების შემდეგ ბეტონშემრევის ქვედა სარქველი იხსნება და ბეტონი თვითდინებით ჩაიცლება ავტოგადამზიდ საშუალებაზე.

შპს „გარველის“-ის საწარმოს გათვალისწინებული აქვს წელიწადში 40 000 მ³ ბეტონის წარმოება. საწარმო წელიწადში იმუშავებს 250 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. შპს „გარველი“ ბეტონის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის (ქვიშა-ხრების) და ცემენტის შესყიდვას ახდენს მომწოდებელი კომპანიებიდან - შპს „ოქრო და კომპანია“ (ს/კ421278147), შპს „ჰაიდელბერგ ცემენტი“. ბეტონის საწარმო წყალსარგებლობას ახორციელებს ცენტრალური წყალმომარაგების კომპანიადან შესამაბისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორია ყველა მხრიდან შემოღობილია, ხოლო ზედაპირი მოშანდაკებულია და წარმოადგენს ე.წ ტექნოგენურ გრუნტს. ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის წარმოებისათვის საჭირო აგრეგატები. (იხ. ნახატი 1.1)



ნახატი. 1.1 ბეტონის კვანძის სქემა

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1

ცხრილი N1

ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „გრაველი“
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 412758957)
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. წყალტუბო დავით გურამიშვილის ქ N 2 ბ 17
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გეგუთი საკ. კოდი: 29.14.32.476
საქმიანობის სახე	ბეტონის წარმოება და სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება
დირექტორი	თამაზი მიქაძე(პ/ნ 53001051624)
საკონტაქტო ტელეფონი	595-90-10-60
ელექტრონული ფოსტა	tamazi.mikadze@gmail.com
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსპაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	555 -01-01-01
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი გეგუთი
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -309485, Y-4672471
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	550მ
საპროექტო წარმადობა	
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ბეტონის წარმოება და სხვა და სხვა ფრაქციის ღორღი და ქვიშა
საპროექტო წარმადობა	40 000 კუბ.მ ბეტონის ხსნარი/წელ 35 მ³/სთ ქვიშა-ხრემის გადამუშავება
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ბეტონის ხსნარის წარმოებისათვის: 13.2ტ/წელ, ღორღი - 38ტ/წელ, ქვიშა-34ტ/წელ, წყალი 6ტ/წელ,
მეთოდი	სველი და მშრალი მსხვრევა
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	250 დღე
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 სთ/დღ

2 .ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის მტვერი (არაორგანული მტვერი) და ცემენტის მტვერი, ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2

ცხრილი 2. მოცემულია ამ ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	მტვერი (არაორგანული)	0,5	0,15	3
2910	ცემენტის მტვერი	0,3	0,1	3

საწარმო ვალდებულია ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა, რომ თავისი ტერიტორიის ფარგლებში გარეთ უახლოეს დასახლებულ პუნქტებისათვის დაცული იქნას ცხრილში 2-ში მოყვანილი მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები, რისთვისაც საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვა.

ბეტონის საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები:

ბეტონის საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები: ნახატი 3.1.1

1. ინერტული მასალის (ღორღის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. ინერტული მასალის (ქვიშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-2 წყარო)
3. გაფრქვევა ღორღის საწყობიდან (გ-3 წყარო)
4. გაფრქვევა ქვიშის საწყობიდან (გ-4 წყარო)
5. გაფრქვევა ინერტული მასალის (ქვიშა, ღორღი) მადონიზირებელ ბუნკერში ჩატვისრისას (გ-5 წყარო)
6. გაფრქვევა ლენტური კონვეირიდან (გ-6 წყარო)
7. გაფრქვევა ცემენტის სილოსში ჩატვისრისას (გ-7 წყარო)
8. გაფრქვევა ბეტონშემრევიდან (გ-8 წყარო)

3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“ და შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. ვითვალისწინებთ ტექნიკური რეგლამენტის დანართი 117 პირობას, რომ თუ წყარო არ არის აღჭურვილი ასპირაციული სისტემით და მტვრის გამოყოფა ხდება დახურულ სივრცეში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტი-0,4

➤ გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის (ღორღის) მიღებისას ღია საწყობიდან (გ-1 წყარო)

ინერტული მასალების (ღორღის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K₁ - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K₂ - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K₃ -- მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₄ - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₅ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₇ - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₉ -- შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1 სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

ღორღისთვის :

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

K₁ -0,04; K₂ - 0,02; K₃ -1,4; K₄ -1,0; K₅ - 0,1; K₇ - 0,7; K₉ -0,1 ; B - 0,5; G - 19ტ/სთ

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,04 \times 0,02 \times 1,4 \times 1,0 \times 0,1 \times 0,7 \times 0,1 \times 0,5 \times 19 \times 10^6 / 3600 = 0,0206 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0206 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,148 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის (ქვიში) მიღებისას ღია საწყობიდან (გ-2 წყარო)

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 1,2$; $K_4 - 1,0$; $K_5 - 0,1$; $K_7 - 0,8$; $K_9 - 0,2$; $B - 0,5$; $G - 16,8$ ტ/სთ

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,5 \times 16,8 \times 10^6 / 3600 = 0,0672 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0672 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,483 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის (ღორღის) საწყობიდან (გ-3 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,8$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 500$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,8 \times 0,002 \times 500 = 0,115 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,115 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 3,632 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის (ქვიშის) საწყობიდან (გ-4 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,8$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 500$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,8 \times 0,002 \times 500 = 0,115 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,115 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 3,626 \text{ ტ/წელ}$$

➤ მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის მადონიზირებელ ბუნკერში ჩატვისრთვისას (გ-5 წყარო)

გაანგარიშება ხდება გ-1 წყაროს ანალოგიურად

ქვიშისთვის:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,5; K_5 - 0,1; K_7 - 0,8; K_9 - 0,2; B - 0,4; G - 16,8 \text{ ტ/სთ}$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M_{\text{მტვ.}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,5 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,4 \times 16,8 \times 10^6 / 3600 = 0,0268 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0268 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,193 \text{ ტ/წელ}$$

ღორღისთვის:

$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,5; K_5 - 0,1; K_7 - 0,8; K_9 - 0,2; B - 0,4; G - 19 \text{ ტ/სთ}$

$$M_{\text{მტვ.}} = 0,05 \times 0,003 \times 1,2 \times 0,5 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,4 \times 19 \times 10^6 / 3600 = 0,0030 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0030 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0216 \text{ ტ/წელ}$$

➤ მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეული მასალის ლენტური კონვეიერით გადაადგილებისას (გ-6 წყარო)

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევის იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია $3 \times 10^{-5} \text{ კგ/მ}^2 \text{ წმ}$

K- ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1 მ-ის

B- ლენტის სიგანეა და ტოლია 0,80 მ

L- ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 50მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით:

$$M_{\text{მტვ.}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,80 \times 50 \times 10^3 = 0,12 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,12 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,864 \text{ ტ/წელ}$$

➤ მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის სილოსებში ჩატვისრთვისას (გ-7 წყარო)

ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტშიდ მანქანებით და იყვრთება ერთ ცემენტის სილოსში (მოცულობა 100 ტ) მანქანაზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით. სილოსებზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრი 99%-იანი მტვერდამჭერით. 40 000 მ³ ბეტონის ხსნარის საწარმოებლად წელიწადში საჭიროა 13 200 ტ ცემენტი. აქედან გამომდინარე 100 ტ-იან ცემენტის სილოსში წლის განმავლობაში ჩაიყრება 13 200 ტ ცემენტი, ბეტონის წარმოებაში ყოველი 1 ტ ცემენტის გადატვირთვისას სილოსებში გამოიყოფა 0,8 კგ/ტ ცემენტის მტვერი, ამიტომ ცემენტის მტვრის წლიური გაფრქვევა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

ცემენტის მტვრის გაფრქვევის ანგარიში ერთი სილოსიდან

$$G_{\text{მტვ.}} = 13200 \text{ ტ} \times 0,8 / 10^3 = 10,56 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო 99% -იანი გაწმენდის შემდეგ

$$G_{\text{მტვ.}} = 10,56 \times 0,01 = 0,105 \text{ ტ/წელ}$$

პრაქტიკული დაკვირვებით დადგენილია რომ 1ტ ცემენტის ჩატვირთას სილოსებში ჭირდება საშუალოდ 1წთ. აქედან გამომდინარე 13200ტ ცემენტის ჩატვირთვის ოპერაციაზე წელიწადში დაჭირდება 13200 წთ, ანუ 220 სთ-ი, აქედან გამომდინარე მტვრის წარმოქმნის წამური ინტენსიობა იქნება:

$$M_{\text{მტვ.}} = 0,24 \times 10^6 / 220 \times 3600 = 0,303 \text{ გ/წმ}$$

➤ **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ბეტონმზელიდან (გ-8 წყარო)**

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება 5.1 ფორმულით კოეფიციენტების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:

ქვიშა-ღორღისათვის:

$K_1 - 0,05$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 3,0$; $K_4 - 0,005$; $K_5 - 0,01$; $K_7 - 0,7$; $K_9 - 1,0$; $B - 0,4$; $G - 36$ ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 3,0 \times 0,005 \times 0,01 \times 0,7 \times 1,0 \times 0,4 \times 36 \times 10^6 / 3600 = 0,00063 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,00063 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0045 \text{ ტ/წელ}$$

ცემენტისათვის:

$K_1 - 0,01$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 3,0$; $K_4 - 0,005$; $K_5 - 1,0$; $K_7 - 1,0$; $K_9 - 1,0$; $B - 0,4$; $G - 6,6$ ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$M = 0,01 \times 0,03 \times 3,0 \times 0,005 \times 1,0 \times 1,0 \times 1,0 \times 0,4 \times 6,6 \times 10^6 / 3600 = 0,0033 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0033 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0237 \text{ ტ/წელ}$$


4. საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

როგორც აღინიშნა შპს „გრაველი“-ს დაგეგმილი აქვს ბეტონის საწარმოს მიმდებარედ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: 29.14.32.570) მოაწყოს ქვიშა-ხრემის სამსხრვევი საწარმო. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმო. ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი და მშრალი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: ოთხი ყბებიანი მსხვრევანა, როტორული მსხვრევანა, ლენტური ტრანსპორტიორები, კლასიფიკატორი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები. (იხ. გენ-გეგმა) .

გეგმვა



WGS 84 / UTM zone 38 N

მაშტაბი: 1:1,500

ნედლეული შემოიზიდება ავტოთვიმცლელებით და დასაწყობდება ნედლეულის ღია საწყობზე, საიდანაც დამტვირთელის მეშვეობით ჩაიყრება სამსხვრევებში.

საწარმოში ღია ცის ქვეშ განთავსდება ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარები და აგრეგატები, ქვიშა-ხრემის, ქვიშისა და ღორღის საწყობები.

ტექნოლოგიური პროცესის სქემა ითვალისწინებს შემდეგი ოპერაციების თანმიმდევრობას:

1. ქვიშა-ხრემის შემოტანა;
2. ქვიშა-ხრემის ჩაყრა სამსხვრევის მიმღებ ბუნკერში;
3. ბუნკერიდან ქვიშა-ხრემის მიწოდება გასაცხავებელ დანადგარში ქვიშის მოსაცილებლად, ამ პროცესში ხრემის მასა ირეცხება წყლის გამოყენებით;
4. მიღებული ქვიშის მასის გადატანა გამადიდებელში ქვიშის გასამდიდრებლად.
5. ცხავზე დარჩენილი ხრემის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით ყებთან სამტვრევში;
6. ყებთან სამტვრევში დამტვრეული მასის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით გასაცხავებელ აგრეგატში და გაცხავება;
7. ქვიშის გადატანა ტრანსპორტიორით გამამდიდრებელში, საიდანაც ტრანსპორტიორის გამოყენებით გადადის ქვიშის საწყობში. ღორღის ფრაქციების მიღება-დასაწყობება

ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის ელემენტები:

- ქვიშა-ხრემის მიმღები ფოლადის ბუნკერი;
- ქვის ყებთან სამტვრევი - ოთხი ერთეული
- ქვის როტორული სამსხვრევი - ორი ერთეული
- დასხვრეული მასალის გამაცხავებელ-დამხარისხებელი 2 აგრეგატი;
- ქვიშის გამამდიდრებელი;
- ტრანსპორტიორები, (ჯამური სიგრძე 70 მ) რომლების ახორციელებენ:
 - ქვიშა-ხრემის მიწოდებას ყებთან და როტორულ სამსხვრევში;
 - ქვიშის მიწოდებას გამადიდებელში;
 - დასხვრეული მასალის მიწოდებას გამაცხავებელ-დამხარისხებელ აგრეგატებში;
 - არასაკმარისად დამსხვრეული მასალის უკან მიწოდებას სამსხრევში ხელმეორედ სამსხვრევად;
 - ქვიშის და ღორღის მიწოდებას შესაბამის საწყობებში
- საოპერატოროს შენობა ფართობით 4 კვ მ.

5. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა, წარმადობა და ტექნოლოგიური რეჟიმი

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 35მ³-ს, საწარმოს დაგეგმილი აქვს წელიწადში 70 000მ³ ქვიშა-ხრემის გადამუშავება. გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაო რეჟიმი: 250 სამუშაო დღე/წელ, 8 საათიანი სამუშაო დღით. საწარმოში მოსალოდნელიაშვიდი ადამიანის დასაქმება. დამონტაჟებული მოწყობილობების პარამეტრების შესაბამისად საწარმოს შეუძლია წელიწადში გადამამუშაოს 70 000 ქვიშა-ხრემი. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა: ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოტანა მოხდება კომპანიის კუთვნილი ლიცენზირებული (სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) მოპოვების N1209 ლიცენზია) ტერიტორიიდან, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 1500 მეტრში, ავტოთვითმცლელეებით და დასაწყობდება მიმღები ბუნკერის მდებარედ გამოყოფილ სასაწყობე ტერიტორიაზე. აღნიშნული გამოვლინება მდინარე რიონზე ქვიშა-ხრემი გარეცხვისა და დამსხვრევის შემდეგ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს და გამოსადეგია „150-300” მარკის მძიმე ბეტონის შემავსებლად და სამშენებლო საქმეში.

ქვიშა-ხრემის გადამამუშავება ხდება შემდეგი სქემით:

სველი მსხვრევა პირველი ხაზი: წარმადობა შეადგენს 15 კუბ.მ/სთ. ნედლეულის ღია საწყობიდან ბულდოზერის საშუალებით მოხდება მისი ჩაყრა ინერტული მასალების მიმღებ ბუნკერებში, რომლიდანც ლენტური ტრანსპორტიორით პროდუქტის მეშვეობით ჩამოიყრება ვიბროცხავზე, სადაც ნედლეულს შეერევა წყლის ნაკადი, მოხდება ნედლეულის შემდგომი რეცხვა და ქვიშა-ხრემიდან ქვიშის და ლამის ფრაქციების გამოყოფა. ქვიშის ფრაქციის მასა დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ქვიშის საწყობში. ვიბროცხავზე ქვიშა-ხრემის რეცხვისას ადგილი აქვს დანაკარგის არსებობას შლამის სახით, რომელიც წყლის ნაკადის საშუალებით დაილექება სალექარში. სალექარიდან ამოღებული შლამის მასა განთავსდება სამსხვრევი დანადგარების მიმდებარედ არსებულ გამოყოფილ საწყობში და მოხდება მისი რეალიზაცია (შემავსებელი სამშენებლო პროდუქტი). ვიბროცხავზე ნედლეულიდან ქვიშა-ლამის გამოყოფის შემდგომ ღორღის სახით დარჩენილი სველი ნედლეულის შემდგომი მსხვრევა საჭირო ფრაქციების მიღების მიზნით განხორციელდება ყბებიან და როტორულ სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებში, რომელიც ანაწილებს შესაბამისი ზომის ძაბრებით ქვიშა-ხრემს სამ სექციაზე და სხვადასხვა ფრაქციული შემადგენლობით ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით. მიღებული ქვიშა-ხრემის ფრაქციული შემადგენლობაა 0-18 მმ, 0-16მმ, 0-20მმ.

სველი მსხვრევა მეორე ხაზი: წარმადობა შეადგენს 15 კუბ.მ/სთ. ნედლეულის ღია საწყობიდან ბულდოზერის საშუალებით მოხდება მისი ჩაყრა ინერტული მასალების მიმღებ ბუნკერებში, რომლიდანც ლენტური ტრანსპორტიორით პროდუქტის მეშვეობით ჩამოიყრება ვიბროცხავზე, სადაც ნედლეულს შეერევა წყლის ნაკადი, მოხდება ნედლეულის შემდგომი რეცხვა და ქვიშა-ხრემიდან ქვიშის და ლამის ფრაქციების გამოყოფა. ქვიშის ფრაქციის მასა დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ქვიშის საწყობში.

ვიბროცხავზე ქვიშა-ხრემის რეცხვისას ადგილი აქვს დანაკარგის არსებობას შლამის სახით, რომელიც წყლის ნაკადის საშუალებით დაილექება სალექარში. სალექარიდან ამოღებული შლამის მასა განთავსდება სამსხვრევი დანადგარების მიმდებარედ არსებულ გამოყოფილ საწყობში და მოხდება მისი რეალიზაცია (შემავსებელი სამშენებლო პროდუქტი). ვიბროცხავზე ნედლეულიდან ქვიშა-ლამის გამოყოფის შემდგომ ღორღის სახით დარჩენილი სველი ნედლეულის შემდგომი მსხვრევა საჭირო ფრაქციების მიღების მიზნით განხორციელდება ყბებიან და როტორულ სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებში, რომელიც ანაწილებს შესაბამისი ზომის ძაბრებით ქვიშა-ხრემს სამ სექციაზე და სხვადასხვა ფრაქციული შემადგენლობით ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით. მიღებული ქვიშა-ხრემის ფრაქციული შემადგენლობაა 0-18 მმ, 0-16მმ, 0-20მმ.

მშრალი მსხვრევა: წარმადობა 2,5 კუბ.მ/სთ-ში. ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად: საწარმოში ნედლეული (გრანიტის ქვის ნატეხები) შემოიზიდება თვითმცლელების მეშვეობით და იყრება ყბებიანი სამსხვრევის ბუნკერში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის დახარისხება სამ ფრაქციად (10მმ, 14მმ, 16მმ). ცხაურიდან ჩამოყრილი შესაბამისი ფრაქციის ღორღი საწყობდება ღია საწყობზე. ცხაურზე დარჩენილი მხსვილი ზომის ქვა უბრუნდება სამსხვრევ დანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხაურს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლევ.

მშრალი მსხვრევა: წარმადობა 2,5 კუბ.მ/სთ-ში. ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად: საწარმოში ნედლეული (60მმ ღორღი) შემოიზიდება თვითმცლელების მეშვეობით და იყრება ყბებიანი სამსხვრევის ბუნკერში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა ორი ლენტური ტრანსპორტიორით ჩამოიყრება ორ ფრაქციად (20მმ, 40მმ).

**ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი
მახასიათებელი სიდიდეები**

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის მტვერი (არაორგანული მტვერი) ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 5.1

ცხრილი 5.1. მოცემულია ამ ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	მტვერი (არაორგანული)	0,5	0,15	3

მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები:

1. ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში (გ-3 წყარო)
4. მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა (გ-4 წყარო)
5. ყბებიანი მსხვრევანა (გ-5 წყარო)
6. როტორული მსხვრევანა (გ-6 წყარო)
7. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება (გ-7 წყარო)
8. გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან (გ-8 , გ-9, გ-10, და 11 წყარო)

6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

სველი მსხვრევა პირველი ხაზი:

ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) ღია საწყობზე ავტოთვითმცლელიდან ჩამოცლის დროს (გ-1 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K₁- მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K₂- მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K₃- მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₄- გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₅- მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₇- გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

K₉- შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 ; 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1; სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B -გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$$K_1 = 0,05; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 1,0; K_5 = 0,01; K_7 = 0,4; K_9 = 0,1; B = 0,5; G = 48 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 48 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0038 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0038 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,027 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) ღია საწყობიდან (გ-2 წყარო) წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა ანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,5$ - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ

$f = 400$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,5 \times 0,002 \times 400 \times 0,4 = 0,023 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,023 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,725 \text{ ტ/წელ}$$

ნედლეულის მკვებავ ბუნკერში ჩაყრის დროს (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა ანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4 / 3600 \text{ გ/წმ}$$

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 = 0,05; K_2 = 0,03; K_3 = 1,2; K_4 = 0,1; K_5 = 0,01; K_7 = 0,4; K_9 = 0,2; B = 0,5; G = 24 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,01 \times 0,4 \times 0,2 \times 24 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,00096 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,00096 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0064 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვის დროს (გ-4 წყარო)

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 = 0,05; K_2 = 0,03; K_3 = 1,0; K_4 = 0,2; K_5 = 0,01; K_7 = 0,4; K_9 = 1; B = 0,4; G = 24 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,2 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 24 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0128 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0128 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0912 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-5 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტ}} = G_{\text{სამს.}} \cdot x_{\text{გ}} \cdot N_{\text{ტ}} \cdot x_{\text{კ}} / 10^3$$

სადაც $G_{\text{სამს.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 48 000ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (250დღე/წელ X8სთ = 2000სთ) მივიღებთ:

$$G = 48000 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,172 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,172 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,024 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-6 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტ}} = G_{\text{სამს.}} \cdot x_{\text{გ}} \cdot N_{\text{ტ}} \cdot x_{\text{კ}} / 10^3$$

სადაც $G_{\text{სამს.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 480000ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (250დღე/წელ X8სთ = 2000სთ) მივიღებთ:

$$G = 480000 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,172 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,172 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,024 \text{ გ/წმ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური სტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გ-7 წყარო)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევა ანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ

K - ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,5 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 15 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით

$$M_{\text{მტვ.}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,5 \times 15 \times 10^3 = 0,022 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,022 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,162 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ქვიშა და ღორღი) ღია საწყობებიდან (გ-8, გ-9, გ-10 და გ-11 წყარო) მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა, ღორღი) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f / \text{წმ} \quad \text{სადაც,}$$

ღორღისთვის: (გ-8, გ-9 და გ-10 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 50 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 1,0 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 50 \times 0,4 = 0,023 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0023 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,726 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-9 და გ-10 წყაროსთვის

ქვიშისთვის: (გ-11 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

